ბრძანება

N 3
05/05/2020

3-01-4-202005051729

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის აპარატის შექმნის შესახებ

,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის, ,,საჯარო სამსახურში საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის“, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნის, კომისიის თავმჯდომარის დანიშვნისა და საკონკურსო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 5 მაისის №818 ბრძანებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

მუხლი 1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის საქმიანობის ორგანიზებისა და მუშაობის ეფექტურად წარმართვის მიზნით, შეიქმნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის აპარატი შემდეგი შემადგენლობით:

ა) ჩაკვეტაძე ნინო - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, აპარატის უფროსი;

ბ) ბენიძე გიორგი - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, აპარატის წევრი;

გ). ზიტა გულეიშვილი - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, აპარატის წევრი;

დ). მარიამ სამხარაძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორად სტრუქტურულ ერთეულში იურიდიულ განყოფილებაში სრომითი ხელსეკრულებით დასაქმებული პირი, აპარატის წევრი;

ე). გობიანი გურანდა - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის

ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, აპარატის წევრი;

ვ). მარიამ ბარბაქაძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულში ადმინისტრაციულ სამსახურში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, აპრატის წევრი.

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს:

ა). კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებით გამოცემული აქტების, კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, საჯაროობა და ხელმისაწვდომობა;

ბ). კომისიის სხდომების ტექნიკურად მომზადება, კომისიის სხდომების ოქმებსა და გადაწყვეტილებების მომზადება;

გ). კომპეტენციის ფარგლებში კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილისა და წევრების ცალკეული დავალებების შესრულება;

დ). საკონკურსო კომისიაში შემოსული კორესპონდენციის აღრიცხვა.

მუხლი 3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის აპარატის შექმნის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის 2017 წლის 7 დეკემბრის N3 ბრძანება.

მუხლი 4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 6. ბრძანება გამოქვეყნდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე /www.kutaisi.gov.ge/.

ირაკლი გიორგაძე

კომისიის თავმჯდომარე